განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

"გეოგრაფიის" სამაგისტრო პროგრამა

სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღი: 27 მაისი, 2022

დასკვნის წარდგენის თარიღი: 11 ივლისი, 2022

თბილისი
2022 წ.

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ[1]

/დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	212693049
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	გეოგრაფია
უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია[2]	გეოგრაფიის მაგისტრი
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებები, 0532
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება (მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში)	
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	120
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	ავტორიზებული ავტორიზებული საბჭოს გადაწყვეტილება №61. 7.09.2018 წელი

[1] ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის

[2] უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნოდარ ფოფორაძე, სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	გიორგი ბრეგვაძე, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	თამთა ლეკიშვილი, აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	გიგი გიოშვილი, სტუდენტი (დოქტორანტი), სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტს გააჩნია სასწავლო პროცესის შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, თანამედროვე ტექნიკური საშუალებებითა და ინვენტარით აღჭურვილი ბიბლიოთეკა, სადაც განთავსებულია პროგრამაში მითითებული შესაბამისი ლიტერატურა.

მთლიანობაში, სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა „გეოგრაფია“ ითვალისწინებს ადგილობრივი შრომის ბაზრის, სფეროსა და საზოგადოების განვითარების მოთხოვნებს. პროგრამა შეძლებს დარგის მიმართულებით კვალიფიციური კადრების მომზადებას. ტურისტული ზონის განვითარებისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება დაცულ ტერიტორიებში არსებულ გეოეკოლოგიურ მდგომარეობას და სხვა რეგიონალურ თავისებურებებს. წარმოდგენილი პროგრამა მნიშვნელოვანია ასევე დასავლეთ საქართველოს რეგიონებში სამეცნიერო კვლევების განვითარებისათვის, რეგიონის მდგრადი განვითარებისათვის და სხვ.

აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შექმნისა და სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში ვიზიტის შესახებ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2022 წლის 27 აპრილის ბრძანების MES 2 22 0000425822 შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის „გეოგრაფიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია და 27 მაისს ქ. ქუთაისში განახორციელა ვიზიტი აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში. ექსპერტთა ჯგუფმა შეაფასა სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „გეოგრაფიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა.

ექსპერტთა ჯგუფს მიეწოდა ყველა საჭირო ინფორმაცია პროგრამის შესახებ. ვიზიტი წარიმართა მშვიდ, ორმხრივი ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის პირობებში. გასაუბრებები და სხვა აქტივობები განხორციელდა დაწესებულებასთან წინასწარ შეთანხმებული დღის წესრიგის

შესაბამისად: უნივერსიტეტის და ფაკულტეტის ადმინისტრაციასთან, პროგრამის თვითშეფასების ჯგუფთან, დაწესებულების და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელებთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და დამსაქმებლებთან. შეხვედრების დროს განხილულ იქნა სამაგისტრო პროგრამის მიზნები, შედეგები და მისი განხორციელების გზები. ინტერვიუს დასასრულს ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს გაუზიარა ძირითადი მიგნებები.

ექსპერტების მიერ გაანალიზდა პროგრამის სტრუქტურა და შინაარსობრივი მხარე, შესწავლილი იქნა მოწოდებული სილაბუსები და პროგრამის თვითშეფასების ანგარიში და ანალიზის დოკუმენტი, რომელიც ფაკულტეტზე იქნა შემუშავებული. ასევე დადგინდა საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებლი პერსონალის კვალიფიკაციისა და კომპეტენციის შესაბამისობა მათ მიერ განხორციელებული სასწავლო კურსების სწავლის შედეგებთან.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა „გეოგრაფია“ ხორციელდება 2007 წლიდან. აღნიშნულმა პროგრამამ 2012 წელს გაიარა აკრედიტაცია „რეგიონალური გეოგრაფია და რეკრეაციული რესურსების“ სახელწოდებით. იგი მთლიანობაში შესაბამისობაშია უნივერსიტეტის მიზნებთან, სტრატეგიულ გეგმასა და მისიასთან. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, როგორც მრავალდარგოვანი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, ისწრაფვის უზრუნველყოს მაღალი ხარისხის განათლება და კვლევითი საქმიანობა, ხელი შეუწყოს სტუდენტების პიროვნულ განვითარებას, აღზარდოს პროფესიონალები და ლიდერები.

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამამ „გეოგრაფია“ რეაკრედიტაციისთვის მომზადების პროცესში განიცადა მოდიფიცირება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ ნ ბრძანების დანართი 1 - ით დამტკიცებული „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა“ და ამ ბრძანების დანართი 2-ით დამტკიცებული „სწავლის სფეროების კლასიფიკატორის“ მოთხოვნების შესაბამისად. პროგრამის შინაარსი შესაბამისობაში მოვიდა სწავლის სფეროების კლასიფიკატორში დეტალური სფეროს „0532“ აღმწერთან, რაც აისახა პროგრამის მიზნებსა და პროგრამის სწავლის შედეგებში. მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები, პროგრამაში გამოყენებული მეთოდები, კრედიტების მოცულობა, შეფასების კომპონენტები და კრიტერიუმები შესაბამისობაშია თითოეული სასწავლო კურსის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან. პროგრამაში შემავალი კომპონენტების თანმიმდევრობა და შემდგომ კომპონენტებზე დაშვების წინაპირობები ლოგიკურია. პროგრამის სასწავლო კომპონენტების შინაარსი ითვალისწინებს დარგის თანამედროვე მიღწევებს, თუმცა რჩევის სახით დავამატებთ, რომ ეს კომპონენტი კიდევ უფრო შეიძლება გაძლიერდეს სილაბუსებში თანამედროვე ინგლისურენოვანი ლიტერატურის დამხმარე მასალად გამოყენებით.

უნივერსიტეტში ჩართულია ინტეგრირებული საბიბლიოთეკო სისტემის ონლაინ–კატალოგის (OPAC) სერვისი. ბიბლიოთეკას გააჩნია წვდომა საერთაშორისო ელექტრონულ ბაზებთან: პროგრამის სასწავლო კურსებისათვის საჭირო ძირითადი სახელმძღვანელოები სრულადაა განთავსებული უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის წიგნად ფონდში. სასწავლო კურსებისა და ზოგადად, სასწავლო პროცესის შეფასების მიზნით, სემესტრის ბოლოს ხდება სასწავლო პროცესით სტუდენტთა კმაყოფილების კვლევა, რომელსაც ატარებს ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური და უნივერსიტეტის მარკეტინგის, პროექტებისა და ღონისძიებების მართვის სამსახური.

სამაგისტრო პროგრამა ითვალისწინებს სტუდენტებისთვის პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარებას. გარემოს ეროვნულ სააგენტოსა და აწსუ-ს შორის გაფორმებული მემორანდუმის ფარგლებში გეოგრაფიის დეპარტამენტის ლექტორ-თანამშრომლები და სტუდენტები მონაწილეობას ღებულობენ სხვადსხვა ტრეინინგსა და პრაქტიკულ ღონისძიებებში. პროგრამის შემადგენელი ნაწილია სასწავლო-საველე პრაქტიკა, რომელიც მოიცავს საველე კვლევის, ვერბალური, კარტოგრაფიული ანალიზის, დისკუსია/დებატების, დემონსტრირების მეთოდებს.

პროგრამას ემსახურება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე აკადემიური და მოწვეული პერსონალი. პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად, რასაც ემატება სტაბილური, პროგრამის განვითარებაზე ორიენტირებული საუნივერსიტეტო ნაერთი და პროგრამის ბიუჯეტი, რომელიც მოიცავს იმ ხარჯებს და ფინანსურ რესურსებს, რომლებიც პროგრამის საჭიროებებისა და დადგეგმილი აქტივობების შესრულებას უზრუნველყოფს.

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა „გეოგრაფია“ შეფასდა აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისად:

სტანდარტი 1. - შეფასებულია, როგორც შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;
1.1. - შეფასებულია, როგორც შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;
1.2. - შეფასებულია, როგორც შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;
სტანდარტი 2. - შეფასებულია, როგორც შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;
2.1. – შეფასებულია, როგორც შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;
2.2. – შეფასებულია, როგორც შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;
2.3. – შეფასებულია, როგორც შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;
2.4. – შეფასებულია, როგორც შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;
2.5. – შეფასებულია, როგორც შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;
2.6. - შეფასებულია, როგორც შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;
სტანდარტი 3. - შეფასებულია, როგორც შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;
3.1. – შეფასებულია, როგორც შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;
3.2. - შეფასებულია, როგორც შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;
სტანდარტი 4. - შეფასებულია, როგორც შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;
4.1. – შეფასებულია, როგორც შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;
4.2. - შეფასებულია, როგორც შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;
4.3. - შეფასებულია, როგორც შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;
4.4. - შეფასებულია, როგორც შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;
სტანდარტი 5. - შეფასებულია, როგორც შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;
5.1. - შეფასებულია, როგორც შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;
5.2. - შეფასებულია, როგორც შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;
5.3. - შეფასებულია, როგორც შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;.

- **რეკომენდაციები**

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**
- სასურველია არჩევითი სასწავლო კურსების რაოდენობის გაზრდა;
  - სასურველია ძირითადი ლიტერატურიის სიიდან ამოღებული იყოს კვლევითი ინსტიტუტების შრომები და გამოყენებულ იქნეს როგორც დამატებითი ლიტერატურა;
  - სასურველია პროგრამების განხორციელებაში დამსაქმებლების მეტად ჩართულობა სტუდენტების პრაქტიკისა და სტაჟირების გაფართოების მიზნით;
  - სილაბუსებში აქტიურად იქნეს გამოყენებული თანამედროვე ინგლისურენოვანი ლიტერატურა, როგორც დამხმარე მასალა. ეს ერთი მხრივ, სრულ თანხვედრაშია ინგლისურის სწავლების გაძლიერებასთან აწსუ-ში და ამავე დროს უბიძგებს სტუდენტებს გაეცნონ და გამოიყენონ თანამედროვე ცოდნა გეოგრაფიაში. ეს ყოველივე განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან არ არსებობს უახლესი საერთშორისო სახელმძღვანელოების ქართულენოვანი თარგმანები;

- სასურველია შესაბამისი პროფილის ადგილობრივ და უცხოურ სასწავლო, სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებთან თანამშრომლობის მეტად გაუმჯობესება სასწავლო პროგრამის კიდევ უფრო დახვეწის, ცოდნის და გამოცდილების გაზიარების მიზნით;
- სამაგისტრო ნაშრომში ტექნიკური მოთხოვნების და გაფორმების წესის სრულად დაცვა, ასევე კვლევითი კომპონენტის გაძლიერების მიზნით, სამაგისტრო ნაშრომის კვლევით ნაწილში მეტი ოდენობით იქნეს გამოყენებული თანამედროვე უცხოენოვანი წყაროები;
- სასურველია პრაქტიკის არეალის და ხანგრძლივობის გაზრდა სამაგისტრო თემატიკის შესაბამისად;
- სასურველია მაგისტრებისთვის ხელმძღვანელის/თანახელმძღვანელის არჩევა მსგავსი პროფილის დაწესებულებებიდან;
- სასურველია საერთაშორისო და ადგილობრივი გრანტების მოპოვების ხელშეწყობის გაზრდა უნივერსიტეტის ადმინისტრაციის მიერ;
- სასურველია დაწესებულებამ მეტად უზრუნველყოს საერთაშორისო ფორუმებში და გაცვლით პროგრამებში აკადემიური, მოწვეული პერსონალის და სტუდენტების ჩართვის სტიმულირება;
- სასურველია ლაბორატორიული ბაზის მეტად განახლება და კვლევის თანამედროვე მეთოდებისა და მეთოდოლოგიის უფრო გაძლიერება და გაღრმავება;
- სასურველია ანაგარიშების მომზადება, სადაც აისახება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ გაცემულ რეკომენდაციებზე რეაგირება;
- სასურველია გარე შეფასება განხორციელდეს განახლებულ პროგრამასთან მიმართებაში, პროგრამის სწავლის შედეგების, შინაარსისა და სტრუქტურის რელევანტურად.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

- ადმინისტრაციის დიდი მხარდაჭერა აკადემიური და მოწვეული პერსონალის და სტუდენტების მიმართ;
- სასწავლო საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო საველე-გეოგრაფიული პრაქტიკა და გისის კურსი;
- მოწვეული აკადემიური პერსონალის დიდი გამოცდილება და პროფესიონალიზმი;
- საბიბლითეკო სივრცეები, ელექტრონული მოქნილი და მრავალმხრივი ბაზები და ბიბლიოთეკის მოტივირებული, პროგრესული დირექტორი.

- **ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

პირველ რიგში, რაც აღსანიშნავია არის ის, რომ პროგრამა შევსებული და გაუმჯობესებულია; მისი დღევანდელი ვარიანტი წინ გადადგმული ნაბიჯია. მიუხედავად პანდემიისა, სასწავლო პროცესი წარმატებით მიმდინარეობს.

ყოველი შეხვედრა იყო შედეგიანი, გამოვყობთ სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან შეხვედრას, რომელმაც გულწრფელ, გულთბილ, საქმიან გარემოში ჩაიარა. ისინი ღიად გამოთქვამენ სურვილს გასაუმჯობესებელი კომპონენტის შესახებ.

სტუდენტები და კურსდამთავრებულები არიან მოტივირებულები, კარგად ერკვევიან საუნივერსიტეტო ცხოვრებაში და ჩართულები არიან ფაკულტეტის საქმიანობაში. ფაკულტეტზე შექმნილი მეგობრული, მშობლიური გარემო მათთვის და სხვა სტუდეტებისთვის ქმნის მოტივაციას, სწავლა გააგრძელონ სწორედ ამ მიმართულებით სწავლების სხვადასხვა საფეხურზე.

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები
პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული და რა წვლილი შეაქვს სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის „გეოგრაფია“ მიზნები ნათლადაა ჩამოყალიბებული, რეალისტური და მიღწევადია. მათში მკაფიოდაა ასახული ის ცოდნა და უნარები, რომელთა განვითარებაც გათვალისწინებულია პროგრამის ფარგლებში. კერძოდ, პროგრამის მიზანია კურსდამთავრებულს: ○ მისცეს ღრმა და სისტემური ცოდნა გეოგრაფიულ გარსში მიმდინარე დინამიკური პროცესების კანონონზომიერებების, გეოგრაფიის თეორიული და პრაქტიკული საკითხების დამუშავებისა და გამოყენების შესახებ; ○ გამოუმუშაოს გეოგრაფიული გარემოს სისტემური აღქმისა და მიმდინარე მოვლენათა ანალიზის უნარი მდგრადი განვითარების (შენარჩუნების, აღდგენისა და კვლავწარმოების) კუთხით, როგორც ადგილობრივ, ისე რეგიონულ დონეზე; ○ გამოუმუშაოს საველე და კვლევითი სამუშაოების ჩატარების, მიღებული მასალების ანალიზის, დამუშავების და გამოსახვის პრაქტიკული უნარები გეოინფორმაციული სისტემების გამოყენებით. უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმებიდან გამომდინარე, პროგრამის მიზნების მიღწევა ხდება ძირითადი სასწავლო კურსების მეშვეობით და კურიკულუმის გარეშე აქტივობებით. აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, როგორც მრავალდარგოვანი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, ისწრაფვის უზრუნველყოს მაღალი ხარისხის განათლება და კვლევითი საქმიანობა, ხელი შეუწყოს სტუდენტების პიროვნულ განვითარებას, აღზარდოს პროფესიონალები და ლიდერები. უნივერსიტეტი აცნობიერებს საზოგადოების წინაშე პასუხისმგებლობას და მიზნად ისახავს თავისი საქმიანობით წვლილი შეიტანოს ქალაქისა და რეგიონის განვითარებაში. ამ მიზნით იგი უზრუნველყოფს ცხოვრების მანძილზე უწყვეტი საგანმანათლებლო პროგრამებისა და სერვისების მიწოდებას, ახალი ცოდნის გენერირება-გავრცელებას. პროგრამის მიზანი შეესაბამება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-7 დონის საკვალიფიკაციო აღმწერის მოთხოვნებს, სწავლის სფეროების კლასიფიკატორის მუხლი 3-ით განსაზღვრულ სწავლის სფეროს შინაარსს (0532 გეოგრაფია). სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა „გეოგრაფია“ განთავსებულია უნივერსიტეტის ვებგვერდზე და პროგრამის მიზნები ხელმისაწვდომია ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის.

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის „გეოგრაფია“ მიზანი გაზიარებულია პროგრამის თვითშეფასების ჯგუფისა და განმახორციელებელი პერსონალის მიერ, შესაბამისობაშია აწსუ-ს მისიასთან, უნივერსიტეტის მიზნებთან და სტრატეგიულ მიმართულებებთან.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: ○ სამაგისტრო პროგრამა ,,გეოგრაფია“ ○ სასწავლო კურსის სილაბუსები ○ უნივერსიტეტის მისია www.atsu.edu.ge ○ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის სტრატეგიული გეგმა ○ შრომის ბაზრის კვლევა
რეკომენდაციები: -
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის: -
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): -
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში): -
შეფასება ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები
➢ პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას; ➢ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს; ➢ შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის „გეოგრაფია“ სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას და უნარებს, რომლებსაც სტუდენტი ფლობს პროგრამის დასრულებისას. პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება მისანიჭებელ კვალიფიკაციას ,,გეოგრაფიის მაგისტრი“. სწავლის შედეგები შესაბამისობაშია პროგრამის კურსდამთავრებულთა პროფესიით დასაქმების მაჩვენებელთან, სფეროს სპეციფიკასთან და შრომის ბაზრის მოთხოვნებთან; პროგრამის შემუშავებაში ჩართული იყო ყველა დაინტერესებული მხარე. (აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული პერსონალი, სტუდენტი, კურსდამთავრებული, დამსაქმებელი და სხვა). სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის „გეოგრაფია“ სწავლის შედეგები ჩამოყალიბებულია შემდეგი სახით: ცოდნა და გაცნობიერება 1.1 განსაზღვრავს ბუნებრივი გარემოს ევოლუციის, მდგრადი განვითარების, ბუნებრივი რისკების და სტიქიური პროცესების მართვის საკითხებს; 1.2 აანალიზებს ქვეყანასა და რეგიონში არსებული ბუნებრივი პირობებისა და რესურსების რაციონალური გამოყენების მნიშვნელობას;

1.3 კრიტიკულად იაზრებს გარემოზე საზოგადოების ზემოქმედების შედეგად წარმოქმნილ გეოეკოლოგიურ პროცესებს და ახდენს პრობლემების იდენტიფიცირებას;

უნარი

2.1 საველე და კვლევის თანამედროვე მეთოდების გამოყენებით დამოუკიდებლად იკვლევს გეოგრაფიულ პრობლემებს და წარადგენს მიღებულ შედეგებს, როგორც აკადემიური, ასევე სხვა დაინტერესებული აუდიტორიის წინაშე;

2.2 ახდენს გეოინფორმაციული სისტემების გამოყენებით, სხვადასხვა სახის კარტოგრაფიული გამოსახულებების შექმნას და ანალიზს;

2.3 ახდენს გეოგრაფიული კვლევების და გარემოს მდგრადი განვითარების კრიტიკულ შეფასებას და მის საფუძველზე გადაწყვეტილების მიღებას.

პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა

3.1 იღებს პასუხისმგებლობას გეოგრაფიული გარემოს მართვასთან დაკავშირებული პროცესების დამოუკიდებლად ან გუნდურად წარმართვაზე პროფესიული ეთიკის სტანდარტების დაცვით;

3.2. ახორციელებს პროფესიულ საქმიანობას კეთილსინდისიერებისა და პასუხიმგებლობის პრინციპების დაცვით.

პროგრამის სწავლის შედეგების შეფასებისათვის შედგენილია კურიკულუმის რუკა საგანმანათლებლო პროგრამის მიერ შეთავაზებული ძირითადი სწავლის სფეროს შინაარსის შესაბამისი და არჩევითი სასწავლო კურსებით და განსაზღვრულია რომელი სასწავლო კურსი უზრუნველყოფს კონკრეტული სწავლის შედეგის განვითარებას სამი პროგრესული დონით - I გაცნობა; P - გაღრმავება; M - განმტკიცება. პროგრამის სწავლის თითოეული შედეგისთვის დადგენილია სამიზნე ნიშნულები, რომლის დადარება მოხდება 2 წლიან დინამიკაზე მონიტორინგის შედეგად.

პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება ხდება როგორც პირდაპირი, ასევე არაპირდაპირი მეთოდების გამოყენებით. პირდაპირი შეფასების მეთოდია ის, რომლის მეშვეობითაც მოწმდება, მიაღწია თუ არა სტუდენტმა პროგრამის სწავლის შედეგს შესრულებული დავალების მეშვეობით. სტუდენტის აქტივობები ფასდება პრაქტიკულ მუშაობაზე შესრულებული დავალებების, პრეზენტაციის, პროექტის, პრაქტიკის ანგარიშის მომზადება/წარდგენის და სხვ. მიხედვით. სხვადასხვა ტიპის დავალებების შესრულების დროს ფიქსირდება სტუდენტის მიერ სასწავლო კურსით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევა, რაც საბოლოო ჯამში პროგრამის სწავლის შედეგებზე გასვლის მაჩვენებლის განსაზღვრის საშუალებას იძლევა.

პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანალიზის საფუძველზე გათვალისწინებულია შედეგების გადახედვა თუ რამდენად მიაღწიეს სტუდენტებმა სწავლის შედეგებს იმ დონით, როგორც აღწერილია კურიკულუმის რუკით და მოახდება პროგრამის იმ სწავლის შედეგების იდენტიფიცირება, რომლებსაც სტუდენტების უმრავლესობამ სუსტად ან ვერ მიაღწია. აღნიშნული გათვალისწინებით განისაზღვრება ცვლილებები, რომლებიც უზრუნვლყოფს პროგრამის გაუმჯობესებას.

გეოგრაფიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები არის გაზომვადი, მიღწევადი და რეალისტური, ითვალისწინებს დარგის სპეციფიკას და იძლევა შემდეგ საფეხურზე სწავლის გაგრძელების შესაძლებლობას. პროგრამის შედეგებზე გასვლის მიზნით სტუდენტის შეფასება ხდება ყოველკვირეული აქტივობებით და გამოცდებით (შუალედური და დასკვნითი). პროგრამით გათვალისწინებული თეორიული ცოდნის პრაქტიკული უნარ-ჩვევებით გაღრმავება ხდება სასწავლო პრაქტიკით.

როგორც ინტერვიუს შედეგად დადგინდა, ყოველწლიურად იზრდება დამსაქმებლების ჩართულობა პროგრამის გასაუმჯობესებლად, თუმცა სტუდენტების სურვილია პრაქტიკისა და სტაჟირების მეტი პერიოდით და მრავალფეროვნებით განხორციელება, რაზეც დამსაქმებლები მზაობას გამოთქვამენ სტუდენტების მეტად მხარდაჭერისათვის.

მტკიცებულებები/ინდიკატორები: ○ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა „გეოგრაფია“ ○ სასწავლო კურსების სილაბუსები ○ კურიკულუმის რუკა ○ პროგრამის მიზნების კავშირი პროგრამის სწავლის შედეგებთან ○ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები ○ ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული ინტერვიუები
რეკომენდაციები: -
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის: ▪ სასურველია პროგრამის განხორციელებაში დამსაქმებლების მეტად ჩართულობა სტუდენტების პრაქტიკისა და სტაჟირების გაფართოების მიზნით.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): -
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში): -
შეფასება ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	X			

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის „გეოგრაფია“ სტუდენტის დაშვების წინაპირობაა:

- ბაკალავრის აკადემიური ხარისხი;

- საერთო სამაგისტრო გამოცდის ჩაბარება;

- შიდა საუნივერსიტო გამოცდის ჩაბარება. შიდა საუნივერსიტეტო გამოცდა გულისხმობს გამოცდას სპეციალობაში - გეოგრაფიაში, რაც ითვალისიწინებს აპლიკანტის ცოდნის დონის შემოწმებას. გამოცდა ტარდება წერითი ფორმით, ბილეთი მოიცავს 4 თეორიულ საკითხს.

- გამოცდა უცხო ენაში. გამოცდა უცხო ენაში ტარდება ტესტირების ფორმით. უცხო ენის ტესტირებისგან თავისუფლდება კანდიდატი, რომელიც წარმოადგენს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებით განსაზღვრულ უცხო ენის B2 დონეზე ცოდნის დამადასტურებელ სერტიფიკატს. ასევე, თავისუფლდება კანდიდატი, ვისაც შესაბამის ენაზე აქვს გავლილი ბაკალავრიატის ან მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა.

მიღების განსაკუთრებული პირობები და მოთხოვნები არ არსებობს. გარე და შიდა მობილობის საფუძველზე, რასაც არეგულირებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის ბრძანება №10/ნ - „უმაღ ლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ და აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ შემუშავებული და დამტკიცებული „სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერების, შეწყვეტის, აღდგენის, მობილობის, კვალიფიკაციის მინიჭებისა და მიღებული განათლების აღიარების წესის შესახებ“ დადგენილება (№94 (17/18)).

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილ ვადებში, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის აქტით დამტკიცებული სავალდებულო პროცედურებისა და უნივერსიტეტის მიერ დადგენილი წესების დაცვით; - საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესით დადგენილ ვადებში დასაშვებია: ა) უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის და მოქალაქეობის არმქონე პირებისათვის, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი ან მისი ეკვივალენტური განათლება; ბ) საქართველოს მოქალაქეებისათვის, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი ან მისი ეკვივალენტური განათლება და სრული ზოგადი განათლების ბოლო 2 წელი ისწავლეს უცხო ქვეყანაში; გ) პირებისათვის, რომლებიც სწავლობენ/სწავლობდნენ და მიღებული აქვთ კრედიტები უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში. საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების წინაპირობები გამჭვირვალეა, შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას და ხელმისაწვდომია ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა „გეოგრაფია“
- დადგენილება №94 (17/18) - სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერების, შეწყვეტის, აღდგენის, მობილობის, კვალიფიკაციის მინიჭებისა და მიღებული განათლების აღიარების წესის დამტკიცების შესახებ
- ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული ინტერვიუები

რეკომენდაციები:

-

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

-

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

-

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში):
-

შეფასება

☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამამ „გეოგრაფია“ რეაკრედიტაციისთვის მომზადების პროცესში განიცადა მოდიფიკაცია და მოვიდა შესაბამისობაში საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ ნ ბრძანების დანართი 1 - ით დამტკიცებული „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა“ და ამ ბრძანების დანართი 2-ით დამტკიცებული „სწავლის სფეროების კლასიფიკატორის“ მოთხოვნების შესაბამისად.

პროგრამის სტრუქტურა აგებულია პრინციპით, რომელიც ითვალისწინებს აღნიშნული პროგრამის სწავლის შედეგებზე გასვლისათვის საჭირო სასწავლო კურსებს, შესაბამისი მოცულობის კრედიტებით. პროგრამის მოცულობაა 120 კრედიტი. სასწავლო კურსების შინაარსი უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას და შესაბამისი ხარისხის მინიჭებას.

სასწავლო პროგრამის ხანგრძლივობა - 2 სასწავლო წელი, 4 სემესტრი. კრედიტების რაოდენობა - 120 ECTS კრედიტი, მათ შორის: I. ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი შინაარსის სასწავლო კურსები - 105 კრედიტი; II. ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი სასწავლო კურსები - 15 კრედიტი; პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებს, პროგრამის მიზნებს, სწავლის შედეგებსა და კომპეტენციებს, სწავლება/სწავლის მეთოდებს, სწავლის შედეგების მიღწევის გზებს და შეფასების წესს, დასაქმების სფეროებს, აუცილებელ რესურსებს და დამხმარე პირობებს.

პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. მისი შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. საგანმანათლებლო პროგრამის თითოეულ კომპონენტში გამოყენებული მეთოდები, კრედიტების მოცულობა, შეფასების კომპონენტები და კრიტერიუმები შესაბამისობაშია თითოეული სასწავლო კურსის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან. პროგრამაში შემავალი კომპონენტების თანმიმდევრობა და შემდგომ კომპონენტებზე დაშვების წინაპირობები უზრუნველყოფს სწავლის შედეგების ლოგიკურ ბმას და განვითარებას გაღრმავება - განმტკიცებისკენ.

მისანიჭებელი კვალიფიკაცია „გეოგრაფიის მაგისტრი“ შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა „გეოგრაფია“
- აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის კონცეფცია, ქუთაისი, დადგენილება 49(17/18), 9 თებერვალი, 2018 წ
- ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული ინტერვიუები

რეკომენდაციები:
-

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის: - სასურველია არჩევითი სასწავლო კურსების რაოდენობის გაზრდა
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): -
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში): -
შეფასება ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი
➢ ძირითადი სფეროს თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის/საგნის/მოდულის/კონცენტრაციის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს; ➢ სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსების შედეგები სრულ შესაბამისობაშია პროგრამის შედეგებთან. პროგრამა მოიცავს სავალდებულო და არჩევით სასწავლო კურსებს პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსების მოცულობა 4, 5 ან 6 კრედიტიანია. 1 კრედიტი 25 საათის ტოლფასია. კრედიტის მოცულობაში გათვალისწინებულია აუდიტორიული, საგამოცდო და დამოუკიდებელი მუშაობისათვის განკუთვნილი საათები. სასწავლო კურსი გაწერილია სილაბუსში, რომელიც მოიცავს შემდეგ ინფორმაციას: კურსის დასახელება, კურსის ტიპი, კრედიტების რაოდენობა შესაბამისი საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების მითითებით, კურსის განმახორციელებელი, კურსის მიზანი, სასწავლო კურსის ფორმატი, სწავლის შედეგები, შეფასების სისტემა და კრიტერიუმები, სწავლა/სწავლების მეთოდები, სასწავლო რესურსები, კურსის შინაარსი და სხვ. სასწავლო კურსის სილაბუსით დეტალურად არის აღწერილი სტუდენტის შეფასების ფორმები, მეთოდები და რუბრიკები. სასწავლო კურსის სილაბუსში მითითებულია კურსის შესწავლისათვის რეკომენდებული ძირითადი და დამხმარე ლიტერატურა, რომელიც უნივერსიტეტში არსებობს ბეჭდური და/ან ელექტრული სახით. უნივერსიტეტში ჩართულია ინტეგრირებული საბიბლიოთეკო სისტემის ონლაინ კატალოგის (OPAC) სერვისი. ბიბლიოთეკას გააჩნია წვდომა ელექტრონულ ბაზებზე. პროგრამის სასწავლო კურსებისათვის საჭირო ძირითადი სახელმძღვანელოები სრულადაა განთასებული უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის წიგნად ფონდში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: ○ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა „გეოგრაფია“ ○ სასწავლო კურსის სილაბუსები;

- „საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის კონცეფცია - EP-QA“, აწსუ 2018 წლის 9 თებერვალი, №49 (17/18);
- აწსუ ბიბლიოთეკა - http://www.library.atsu.edu.ge
- სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები .
- ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული ინტერვიუები

რეკომენდაციები:

-

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- სასურველია ძირითადი ლიტერატურის სიიდან ამოღებული იყოს კვლევითი ინსტიტუტების შრომები და გამოყენებულ იქნეს როგორც დამატებითი ლიტერატურა;
- სასურველია პროგრამების განხორციელებაში დამსაქმებლების მეტად ჩართულობა სტუდენტების პრაქტიკისა და სტაჟირების გაფართოების მიზნით;
- სილაბუსებში აქტიურად იქნას გამოყენებული თანამედროვე ინგლისურენოვანი ლიტერატურა, როგორც დამხმარე მასალები. ეს, ერთი მხრივ, სრულ თანხვედრაშია ინგლისურის სწავლების გაძლიერებასთან აწსუ-ში და ამავე დროს უბიძგებს სტუდენტებს გაეცნონ და გამოიყენონ თანამედროვე ცოდნა გეოგრაფიაში. ეს ყოველივე განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან არ არსებობს უახლესი საერთშორისო სახელმძღვანელოების ქართულენოვანი თარგმანები.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

-

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში):

-

შეფასება

☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სამაგისტრო პროგრამა „გეოგრაფია“ სტუდენტებს უვითარებს პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს. მიღებული ცოდნის საფუძველზე სტუდენტები აქტიურად მონაწილეობენ კონფერენციებში, გამოფენებსა და სამეცნიერო პიკნიკებში.

პროგრამა, სწავლის შედეგებისა და საფეხურის შესაბამისად, უზრუნველყოფს სტუდენტებისთვის პრაქტიკული უნარების გამომუშავებას და/ან მათ სამეცნიერო/კვლევით პროექტებში ჩართვას; პროგრამის პრაქტიკული კომპონენტი ორგანიზებული და დაგეგმილია პროგრამის სწავლის შედეგების შესაბამისად; პრაქტიკის გავლის პერიოდში ან/და სამეცნიერო-კვლევით პროექტში ჩართვის შემთხვევაში სტუდენტს ხელმძღვანელობას უწევს სფეროს კვალიფიციური პირი, რომელიც აფასებს სტუდენტის საქმიანობას.

სამაგისტრო ნაშრომი შემაჯამებელი ფორმით ახდენს სტუდენტთა სამეცნიერო კვლევითი და შემოქმედებითი უნარების გამოვლინებას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- უნივერსიტეტში ჩატარებული ღონისძიებების ამსახველი მასალა;
- სტუდენტური კონფერენციის პროგრამები;
- დეპარტამენტში არსებული ფოტომასალა.
- ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული ინტერვიუები

რეკომენდაციები:

-

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- სასურველია შესაბამისი პროფილის ადგილობრივ და უცხოურ სასწავლო, სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებთან თანამშრომლობის მეტად გაუმჯობესება სასწავლო პროგრამის კიდევ უფრო დახვეწის, ცოდნის და გამოცდილების გაზიარების მიზნით;
- სამაგისტრო ნაშრომში ტექნიკური მოთხოვნების და გაფორმების წესის სრულად დაცვა;
- სასურველია პრაქტიკის არეალის და ხანგრძლივობის გაზრდა სამაგისტრო თემატიკის შესაბამისად;
- სასურველია მაგისტრებისთვის ხელმძღვანელის/თანახელმძღვანელის არჩევა მსგავსი პროფილის დაწესებულებებიდან.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

-

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში):

-

შეფასება

☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაში „გეოგრაფია“ შემავალი თითოეული სასწავლო კურსისთვის შერჩეულია რელევანტური სწავლება-სწავლის მეთოდები, რომელიც შესაბამისობაშია კურსის შინაარსთან, მიზნებთან და შესაძლებელს ხდის კურსით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. პროგრამის სწავლებისას გამოიყენება, სწავლება-სწავლის სხვადასხვა ფორმები და ინტერაქტიული მეთოდები, კერძოდ: სწავლის ფორმები - ლექცია, პრაქტიკული მეცადინეობები, პროფესიული პრაქტიკა, კონსულტაცია და დამოუკიდებელი მუშაობა, პრაქტიკული მუშაობა, ელექტრონული სწავლება; სწავლების მეთოდების შესაბამისი აქტივობები - დისკუსია/დებატები, დემონსტრირება, ანალიზი და სინთეზი, ახსნა-განმარტებითი, ვერბალური და წერითი მუშაობა.

სწავლა/სწავლება მიმდინარეობს თანამედროვე ინტერაქტიული მეთოდების გამოყენებით, რომლის მიზანია სასწავლო პროცესის სტუდენტზე ორიენტირება და სწავლების ახალი სტრატეგიების დანერგვა. სწავლა/სწავლების პროცესში ასევე აქტიურად გამოიყენება ელექტრონული სწავლების დასწრებული ფორმა, რაც გულისხმობს სასწავლო რესურსების ელექტრონულად

მიწოდებას და დავალებების ელექტრონულად შესრულებას უნივერსიტეტის მიერ უზრუნველყოფილი ელექტრონული სწავლების გარემოს, Moodle სისტემის და Teams პლატფორმის დახმარებით. სპეციალური საჭიროებების მქონე სტუდენტებისთვის ადმინისტრაცია უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ადაპტირებას მათი მოთხოვნილებების შესაბამისად. სწავლება-სწავლის მეთოდები არის მოქნილი და ითვალისწინებს ინდივიდუალურ მიდგომას, რაც დასტურდება დაინტერესებულ პირთა გამოკითხვების ანალიზით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: ○ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა „გეოგრაფია“ ○ სასწავლო კურსის სილაბუსები; ○ აწსუ-ს რექტორის ბრძანება №01-04 / 21 13.03.2020 ქვეყანაში კორონავირუსის შესაძლო გავრცელების თავიდან აცილების მიზნით პრევენციული ღონისძიებების გატარებასა და აწსუ-ში სასწავლო პროცესის შეუფერხებლად განხორციელებისათვის დამატებით ღონისძიებასთან დაკავშირებით რექტორის ბრძანებაში №01–04/20 11.03.2020 წ. ნაწილობრივი ცვლილების შეტანის შესახებ ○ სასწავლო კურსების შეფასების ინსტრუმენტები ○ ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული ინტერვიუები
რეკომენდაციები: -
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის: -
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): -
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში): -
შეფასება ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება
სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების შესაბამისად, სამართლიანად გამოიყენება ყველა სტუდენტის მიმართ, რაც მთავარია გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი. სტუდენტების შეფასება ხდება შუალედურით და დასკვნითი გამოცდით. შეფასების ფორმები, კომპონენტები და მეთოდები არის გამჭვირვალე, გაწერილია სასწავლო კურსის სილაბუსებში შესაბამისი კომპონენტების მიხედვით და წინასწარ ცნობილია სტუდენტისათვის. უნივერსიტეტში არსებობს აპელაციის სისტემა და სტუდენტს შესაძლებლობა აქვს ნახოს თავისი ნაწერი ან შესაბამისი კომისიის თანდასწრებით განიხილოს გამოცდის ქულა. ინტერვიუების დროს გამოირკვა, რომ სტუდენტები უნივერსტეტში არსებული შეფასების

მექანიზმების შესახებ ფლობენ ამომწურავ ინფორმაციას. აკადემიური პერსონალი ითვალისწინებს სტუდენტის ინტერესებს ჩამოთვლილ საკითხებთან დაკავშირებით და რეაგირებს სტუდენტის თხოვნასა და წინადადებაზე.

ვიზიტის ფარგლებში განხორციელებული ინტერვიუების შედეგად შეიძლება დავასკვნათ, რომ სტუდენტები იღებენ უკუკავშირს, სწავლის შედეგებზე, აგრეთვე საკუთარი ძლიერი და სუსტი მხარეების შედეგების გაუმჯობესების შესახებ ინფორმაციას. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა ითვალისწინებს სტუდენტის პროგრესის პერიოდულ შეფასებას.

სამაგისტრო ნაშრომის დაცვა საჯაროა. სტუდენტს სამაგისტრო ნაშრომის დაცვა უხდება შესაბამის ხელმძღვანელის, კომისიისა და რეცენზენტის წინაშე. მაგისტრანტის საბოლოო შეფასების პროცედურები რეგულირდება უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული დებულებით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ინტერვიუ სტუდენტებთან;
- ინტერვიუ კურსდამთავრებულებთან.
- პროგრამის თვითშეფასების ანგარიში
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- სასწავლო კურსის პროგრამა და სილაბუსები;

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	X			

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება
სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი აწსუ-ს საგანმანათლებლო სამაგისტრო პროგრამის „გეოგრაფიის“ შესახებ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და თვითშეფასების ანგარიშის შესწავლისა და ანალიზის, ასევე ადგილზე განხორციელებული ვიზიტის ფარგლებში, სტუდენტებთან ინტერვიუების დროს, გამოიკვეთა ძირითადი სურათი ამ მიმართულებით. დაწესებულების ბაზაზე, მოქმედებს შიდა კომპლექსური დანიშნულების ვებგვერდი, რომლის მეშვეობითაც სტუდენტებს, ინდივიდუალური პროფილის გამოყენებით, შესაძლებლობა აქვთ კომუნიკაცია დაამყარონ, დაწესებულების აკადემიურ და ადმინისტრაციულ პერსონალთან. სტუდენტების ინფორმირებულობისთვის, უნივერსიტეტი აქტიურად იყენებს სოციალურ ქსელებს, ელექტრონული მიმოწერის საშუალებებს და უნივერსიტეტის ვებგვერდს. სამაგისტრო პროგრამის სტუდენტი საჭირო ინფორმაციას იღებს უნივერსიტეტის, როგორც აკადემიური, ისე ადმინისტრაციული პერსონალისგან. დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს სტუდენტებთან კონსულტაციებს, სხვადასხვა მნიშვნელოვან საკითხებთან დაკავშირებით. სტუდენტები კითხვარების საშუალებით აფასებენ გავლილი სასწავლო კურსის სირთულეს, საჭიროებას და ლექტორის ცოდნისა და უნარების შესაბამისობას. ინტერვიუების დროს, სტუდენტებმა და კურსდამთავრებულებმა აღნიშნეს, რომ უნივერსიტეტი პროგრამის განვითარების პროცესში ითვალისწინებს სტუდენტთა რეკომენდაციებს. სტუდენტებს შეუფერხებელი წვდომა აქვთ სასწავლო კურსის სილაბუსებსა და მასში მითითებულ ლიტერატურაზე. აღნიშნული სამაგისტრო პროგრამის სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ ჩაერთონ დაწესებულების ეგიდით გამართულ სასწავლო ღონისძიებებში, ასევე საერთაშორისო პროექტებშიც.

უნივერსიტეტში გამართულია მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. სტუდენტს სრული წვდომა აქვს უნივერსიტეტის ინვენტარზე, საბიბლიოთეკო და ელექტრონულ რესურსებზე. უნივერსიტეტში შექმნილი გარემო არსებულ სტანდარტებს სრულად აკმაყოფილებს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; ○ მემორანდუმები პრაქტიკის ობიექტებთან; ○ კითხვარი და ანალიზი; ○ უნივერსიტეტის ვებგვერდი; ○ ინტერვიუ სტუდენტებთან; ○ ინტერვიუ კურსდამთავრებულებთან.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა
მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სტუდენტი წერს და იცავს სამაგისტრო ნაშრომს, რომლის მიზანია გამოუმუშაოს მაგისტრანტს სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის პრაქტიკული უნარებ-ჩვევები. ღრმად და სისტემურად დაეუფლოს საკვლევი დარგის თეორიულ ცოდნას, პრაქტიკულ და კვლევით უნარებს. სამაგისტრო ნაშრომის მომზადებისა და დაცვის პროცედურის შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილია სამაგისტრო ნაშრომის შესრულების, დაცვისა და შეფასების ინსტრუქციაში, სადაც ასევე განსაზღვრულია თუ რა სახის საკვალიფიკაციო მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს აკადემიური პერსონალი იმისათვის, რომ ისინი უფლებამოსილნი იყვნენ უხელმძღვანელონ სტუდენტს სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობისას. სტუდენტს შეუძლია, საკვლევი თემის სპეციფიკის გათვალისწინებით, ხელმძღვანელი აარჩიოს როგორც უნივერსიტეტის აკადემიური და მოწვეული პერსონალიდან, ასევე სხვა უსდ-ს აკადემიური პერსონალიდან.

დამტკიცებულ თემაზე სტუდენტი მუშაობს კვალიფიციურ ხელმძღვანელთან კონსულტაციების რეჟიმში. შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი გამოცდილების მქონე ხელმძღვანელი სტუდენტს ეხმარება კვლევის გეგმის შედგენაში და კვლევის პროცესთან დაკავშირებულ ყველა საჭირო კომპონენტში.

მაგისტრანტების ხელმძღვანელები ეწევიან აქტიურ სამეცნიერო საქმიანობას, რაც დასტურდება უნივერსიტეტის მიერ მოწოდებული დოკუმენტით, პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალის პუბლიკაციებით.

ვიზიტის ფარგლებში, ექსპერტებს საშუალება ჰქონდათ გადაეხედათ სამაგისტრო ნაშრომებისთვის. მოცემული ნაშრომები სტანდარტების დაცვითაა შესრულებული და მთლიანობაში აკმაყოფილებს მოთხოვნებს, თუმცა წინა წლების ზოგიერთ ნაშრომში შეინიშნება აკადემიური წერის სტილის უზუსტობა ლიტერატურული წყაროების დაფიქსირების ფორმაში, ასევე სასურველია მეტი ოდენობით იქნას გამოყენებული თანამედროვე უცხოენოვანი წყაროები. სამაგისტრო ნაშრომების შეფასება ხდება სამაგისტრო ნაშრომის დაცვის კომისიის მიერ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საბაკალავრო და სამაგისტრო დებულება;
- დაცული სამაგისტრო ნაშრომების სია;
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის CV;
- აკადემიური პერსონალის კვლევის მაჩვენებელი;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სამაგისტრო ნაშრომში ტექნიკური მოთხოვნების და გაფორმების წესის სრულად დაცვა, ასევე კვლევითი კომპონენტის გაძლიერების მიზნით, სამაგისტრო ნაშრომის კვლევით ნაწილში მეტი ოდენობით იქნას გამოყენებული თანამედროვე უცხოენოვანი წყაროები.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	X			

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი
➢ პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია; ➢ პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას;

- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში;
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის „გეოგრაფია“ განხორციელებაში ჩართულია აკადემიური პერსონალის 9 წარმომადგენელი (მათ შორის 2 პროფესორი, 4 ასოცირებული პროფესორი და 3 ასისტენტ პროფესორი), ასევე 1 მოწვეული პედაგოგი. აკადემიურ პერსონალს აკადემიური თანამდებობები დაკავებული აქვთ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად - კონკურსის წესით. პროგრამის განმახორციელებელი პირების კვალიფიკაცია შესაბამისობაშია მათ საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან, ფუნქციებსა და მოქმედ კანონმდებლობასთან. აკადემიური პერსონალის მიმართ უნივერსიტეტს წაყენებული აქვს გარკვეული საკვალიფიკაციო მოთხოვნები.

აკადემიური პერსონალის კვალიფიკაცია დასტურდება აგრეთვე მათ მიერ შესრულებული სამეცნიერო ნაშრომებით და სამეცნიერო პროექტებით, პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის რაოდენობა შესაბამისობაშია სსიპ-აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს #173 (28.02.2018) დადგენილებასთან და არის პროგრამაზე ჩარიცხულ სტუდენტთა რაოდენობის ადეკვატური. საგანმანათლებლო პროგრამის პერსონალის დატვირთვის სქემა და რეალური დატვირთვა, მათი საერთო რაოდენობა და დენადობის დაბალი მაჩვენებელი უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას, პერსონალზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას და ასევე, საგანმანათლებლო პროგრამის მდგრადობას. საგანმანათლებლო პროგრამის პერსონალი სწავლების გარდა ჩართულია სტუდენტების კონსულტირების და პროგრამის განვითარების პროცესებში, ასევე პროგრამის ფარგლებში დაგეგმილ სხვადასხვა ღონისძიებაში.

პროგრამის ხელმძღვანელს, ასოცირებულ პროფესორს, გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის და მისი განხორციელებისათვის აუცილებელი კვალიფიკაცია, ცოდნა, უნარები და გამოცდილება, რაც დასტურდება შესაბამისი განათლებით, მდიდარი პრაქტიკული გამოცდილებით და გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომებით. პროგრამის ხელმძღვანელი მონაწილეობს პროგრამის შეფასება-განვითარებაში, ჩართული არის პროგრამის განხორციელებაში, სტუდენტების კონსულტირებაში, პროგრამის ფარგლებში დაგეგმილ სხვადასხვა ღონისძიებაში. პროგრამის სტუდენტები უზრუნველყოფილი არიან სათანადო რაოდენობის, შესაბამისი კვალიფიკაციისა და კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

პროგრამას ემსახურება უნივერსიტეტის ინგლისური ფილოლოგიისა და ქართული ფილოლოგიის დეპარტამენტები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- „გეოგრაფია“ სამაგისტრო პროგრამა;
- პროგრამის ხელმძღვანელის პერსონალური ინფორმაცია;
- პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის პერსონალური ინფორმაცია, განმახორციელებელი პერსონალის შრომითი ხელშეკრულებები;
- პროგრამის ხელმძღვანელის მოვალეობები;
- აწსუ-ს წარმომადგებლობითი საბჭოს დადგენილება #173. 28.02.2018. აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროგრამების მიხედვით აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის შესახებ.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☒ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება
➢ დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს; ➢ უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა „გეოგრაფია“ ხორციელდება აწსუ-ს ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის გეოგრაფიის დეპარტამენტში. პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ჯგუფის მიერ ადგილზე ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, ვადასტურებთ, რომ საგანმანათლებლო პროგრამა შესაბამისობაშია შესაბამისი სტანდარტის მოთხოვნებთან. სასწავლო პროგრამის შეფასებისათვის უნივერსიტეტში გამოიყენება შიდა შეფასების პროცედურით გათვალისწინებული სტუდენტთა, აკადემიური პერსონალისა და კურსდამთავრებულთა გამოკითხვა. აკადემიური პერსონალის პედაგოგიური გამოცდილების გაზიარებისა და სწავლების კომპეტენციის შეფასებისათვის უნივერსიტეტში შემუშავებულია ლექციებზე ურთიერთდასწრების მექანიზმები წინასწარ შედგენილი ურთიერთდასწრების გრაფიკის შესაბამისად. ურთიერთდასწრება საშუალებას აძლევს აკადემიურ პერსონალს ერთმანეთს გაუზიარონ იდეები და მოწინავე გამოცდილება მიმდინარე სწავლა/სწავლების პროცესის თაობაზე. აკადემიური პერსონალისა და მასწავლებლების შესაფასებლად გამოიყენება სასწავლო წლის ფარგლებში წინასწარი ინდივიდუალური დატვირთვით განსაზღვრული სასწავლო და სამეცნიერო - მეთოდური საქმიანობის შეფასება. ყოველი სასწავლო წლის ბოლოს

აკადემიური პერსონალის სასწავლო და სამეცნიერო მეთოდური მუშაობის დაგეგმილი 1500 სთ–ის შესრულებას დოკუმენტურად ამოწმებს ფაკულტეტის დეკანი, დეპარტამენტის ხელმძღვანელი, სასწავლო პროცესის მართვის სამსახური, რექტორის მოადგილე. მუდმივად ხდება საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალის პირადი მონაცემების ელექტრონული ვერსიების შექმნა - განახლება.

პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი მონაწილეობს სხვადასხვა სახის ტრენინგებში, სემინარებში, პროფესიულ და ხარისხის უზრუნველყოფის დარგობრივ ღონისძიებებში. ბოლო 10 წლის განმავლობაში სხვადასხვა აქტივობა განხორციელდა, რომელიც დადასტურებულია შესაბამისი სერტიფიკატებით. გეოგრაფიის დეპარტამენტში შექმნილია ხელშემწყობი პირობები ახალგაზრდა კადრების მოზიდვისა და პროფესიული განვითარებისათვის. კერძოდ, ბოლო 5 წლის მანძილზე პროგრამის პროფილით, სამმა ახალგაზრდა დოქტორანტმა წარმატებით დაიცვა დისერტაცია გეოგრაფიის მიმართულებით.

განსაკუთრებით აღსანიშნავია გეოგრაფიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორის, ია იაშვილის, აქტიური ჩართულობა კონფერენციებში, სიმპოზიუმებზე. ევროკავშირის საერთაშორისო პროგრამის ერაზმუს-ის ELECTRA-ს ფარგლებში ერთთვიანი ვიზიტით იგი იმყოფებოდა იაგელონის უნივერსიტეტის გეოგრაფიის ინსტიტუტში კრაკოვში (პოლონეთი) ლექციების კურსის წასაკითხად. მანვე 2021 წელს მოიპოვა ლატვიის მთავრობის სტიპენდია (https://www.viaa.gov.lv/en/latvian-state-scholarships). ვიზიტის დროსაც სამეცნიერო მივლინებით იმყოფებოდა უცხოეთში.

აწსუ-ის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ინიციატივით დაიგეგმა და განხორციელდა შეხვედრების ციკლი პროგრამების ხელმძღვანელებისათვის, დეკანებისათვის, დეპარტამენტების ხელმძღვანელებისათვის და სხვა დაინტერესებული პირებისათვის საგანმანათლებლო პროგრამების შექმნის, შეფასების, გაუმჯობესების და უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშების მომზადების კუთხით. პროგრამის განხორციელების გაუმჯობესებისა და სწავლის პროცესში უახლესი მეთოდების ჩართვის მიზნით, უნივერსიტეტის დაფინანსებით, დეპარტამენტის პერსონალისა და სტუდენტებისათვის 2021 წლის ოქტომბერ–დეკემბერში ჩატარდა ტრენინგები ,,დისტანციურ ზონდირებაში“. სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის „გეოგრაფია“ რეაკრედიტაციისთვის მზადების პროცესში პროგრამის ხელმძღვანელმა და პერსონალმა გაიარეს ტრენინგები პროგრამის სწავლის შედეგების ჩამოყალიბების, გაზომვისა და ანალიზის უნარების განვითარებისთვის. კერძოდ, აწსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ჩართულობით 2019 წლის 18-19 ივნისს, 3-4 სექტემბერს და 2020 წლის 31იანვარს და 1 თებერვალს ჩატარდა ტრენინგები თემაზე: „საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების ჩამოყალიბება და შეფასება”, რომლებსაც ესწრებოდნენ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელები და აკადემიური პერსონალი.

ააიპ კავკასიის მთიანი რეგიონების მდგრადი განვითარების ქსელსა (მდგრადი კავკასია) და აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტს შორის 2021 წლის 20 სექტემბერს გაფორმებული მემორანდუმის საფუძველზე ყოველ 2 წელიწადში ერთხელ ტარდება საერთაშორისო კონფერენცია-ფორუმი.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის პირადი საქმეები;
- ურთიერთდასწრებისა და სააუდიტორიო მუშაობის შეფასების ოქმები;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ▪ სასურველია უნივერსიტეტის ადმინისტრაციის მიერ საერთაშორისო და ადგილობრივი გრანტების მოპოვების ხელშეწყობის გაზრდა; ▪ სასურველია დაწესებულებამ მეტად უზრუნველყოს საერთაშორისო ფორუმებსა და გაცვლით პროგრამებში აკადემიური, მოწვეული პერსონალის და სტუდენტების ჩართვის სტიმულირება.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○
შეფასება ■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 მატერიალური რესურსი
პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საგანმანათლებლო სამაგისტრო პროგრამა „გეოგრაფია“ უზრუნველყოფილია პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით. პროგრამის ფარგლებში სასწავლო პროცესის ჯეროვნად წარმართვისა და სხვა აქტივობებისათვის გათვალისწინებულია ინვენტარითა და ტექნიკური რესურსით - ადეკვატური პროგრამული უზრუნველყოფის მქონე კომპიუტერული ტექნიკითა და სხვა მოწყობილობებით აღჭურვილი აუდიტორია-ლაბორატორიები; გეოლოგიის კაბინეტი; თემატური და ტოპოგრაფიული რუკები; განსაკუთრებით გამორჩეულია ბიბლიოთეკა და სამკითხველო დარბაზები, რომლებიც თანამედროვე სტანდარტებით, კომპიუტერული ტექნიკითა და საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებითაა აღჭურვილი, ჩართულია საერთაშორისო ელექტრონულ საბიბლიოთეკო ქსელში და სტუდენტებსა და თანამშრომლებს შეუზღუდავად აქვთ საერთაშორისო საბიბლიოთეკო ბაზებზე წვდომა. მრავლადაა იზოლირებული შეხვედრების ოთახები, საკონფერენციო ოთახები და ბიბლიოთეკარების სამუშაო სივრცე. აქვე ფუნქციონირებს კარგად აღჭურვილი სტუდენტთა ტექნოლოგიური ლაბორატორია, სადაც სტუდენტებს საშუალება აქვთ მატერიალურად განახორციელონ სხვადასხვა პროექტები. ფასდაუდებელია მოტივირებული, პროგრესული ბიბლიოთეკის დირექტორის წვლილი.

ბიბლიოთეკაში განთავსებულია საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების სილაბუსებით განსაზღვრული სავალდებულო ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალა (მათ შორის, ელექტრონულ მატარებლებზე არსებული), რომელიც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომია უახლესი სამეცნიერო პერიოდული გამოცემები, საერთაშორისო ელექტრონული საბიბლიოთეკო ბაზები, რომლებიც მათ საშუალებას აძლევს გაეცნონ შესაბამისი მიმართულების/დარგის უახლეს სამეცნიერო მონაცემებს, რაც ასევე ხელს უწყობს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. უნივერსიტეტის ზემოთ მითითებული მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია პროგრამის სტუდენტებისა და პერსონალისთვის. სტუდენტები მთლიანობაში ინფორმირებულები არიან არსებული რესურსების გამოყენების შესაძლებლობის და მოხმარების წესების შესახებ, თუმცა სასურველია მათი მეტი ჩართულობა.

ინტერვიუს შედეგებით დადგინდა, რომ სტუდენტები სწავლის პროცესში, განსაკუთრებით პანდემიის პირობებში, ონლაინ სწავლების სპეციფიკის გათვალისწინებით, მაქსიმალურად უზრუნველყოფილი არიან ყველა საჭირო მატერიალურ-ტექნიკური რესურსით, თუმცა გამოთქვეს სურვილი ქონდეთ თანამედროვე კომპიუტერულ პროგრამებზე მეტი წვდომის შესაძლებლობა.

მსოფლიოში და მათ შორის საქართველოში განვითარებული პანდემიის ფონზე, როდესაც შეიზღუდა სააუდიტორიო მუშაობა, უნივერსიტეტი ეფექტურად გადავიდა დისტანციური სწავლების რეჟიმზე. ამისთვის უნივერსიტეტი იყენებდა ZOOM-ის პლატფორმას, ამჟამად უნივერსიტეტი გადასულია სწავლების ჰიბრიდულ ფორმაზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის I კორპუსში არსებული გეოგრაფიის სპეციალობის სასწავლო აუდიტორიები;
- პროფ. ოთარ უკლებას სახელობის გეოლოგიის მუზეუმ–კაბინეტი;
- დეპარტამენტთან არსებული სასწავლო მინი მეტეოსადგური;
- უნივერსიტეტის სამეცნიერო–ტექნიკური ბიბლიოთეკის მუდმივად განახლებადი წიგნადი ფონდი;
- საერთაშორისო ელექტრონულ საბიბლიოთეკო ბაზებზე წვდომა;
- თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი კომპიუტერული ცენტრები.
- პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- უნივერსიტეტის ელექტრონული რესურსებისა და ბიბლიოთეკის დათვალიერება და შემოწმება შერჩევითი მეთოდით;
- ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელთან, პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან;
- ინტერვიუ სტუდენტებთან;
- მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ადგილზე დათვალიარება;

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია ლაბორატორიული ბაზის მეტად განახლება და კვლევის თანამედროვე მეთოდებისა და მეთოდოლოგიის უფრო გაძლიერება და გაღრმავება;

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- საბიბლითეკო სივრცეები, ელექტრონული მოქნილი და მრავალმხრივი ბაზები და, მისი მოტივირებული, პროგრესული, დირექტორი.

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○
შეფასება ■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა
პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამის უზრუნველყოფისთვის საჭირო ფინანსური რესურსები გათვალისწინებულია უნივერსიტეტის ერთიან ბიუჯეტში, რომელიც უზრუნველყოფს პროგრამაში ჩართული პერსონალის შრომის ანაზღაურებას, მათი პროფესიული განვითარებისათვის საჭირო ღონისძიებების დაფინანსებას, მატერიალურ-ტექნიკური რესურსების, სავალდებულო ლიტერატურის, საველე პრაქტიკების და სხვა სასწავლო მასალის შეძენის ხარჯებს. შესაბამისი ფინანსური რესურსები გამოყოფილია ფაკულტეტის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილში, რაც ეკონომიკურად მიღწევადია და განაპირობებს საგანმანათლებლო პროგრამის ფინანსურ მდგრადობას. უნივერსიტეტის ნაერთ ბიუჯეტში გათვალისწინების მიზნით, ფაკულტეტი იმუშავებს პრიორიტეტების დოკუმენტს და დასაფინანსებელი ღონისძიებების (საჭიროებების) ნუსხას, რომელსაც განიხილავენ ფაკულტეტის საბჭოზე და წარუდგენენ უნივერსიტეტის ადმინისტრაციას. ადმინისტრაცია შესაბამის სამსახურებთან ერთად განიხილავს მიღებულ დოკუმენტაციას და ითვალისწინებს ნაერთი ბიუჯეტის შესაბამის მუხლებში. ფინანსური წლის მიმდინარეობისას ბიუჯეტში გათვალისწინებული საჭიროებების ხარჯვის მიზნით, პროგრამის ხელმძღვანელი (ან პასუხისმგებელი პირი) წერილობით მიმართავს ადმინისტრაციას, კონკრეტულ პერიოდში შესაბამისი ხარჯის გაწევასთან დაკავშირებით. უშუალოდ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის „გეოგრაფიას“ ბიუჯეტის გაანგარიშება ხდება წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ დამტკიცებული ფორმით. აღნიშნული ფორმა ითვლის პროგრამის ფაქტობრივი ხარჯის დასაფინანსებლად (2250 ლარი სწავლის საფასური) რამდენი სტუდენტია საჭირო. ფაქტობრივი ხარჯები, მათ შორის, ცვლადი და მუდმივი ხარჯები, ფინანსდება პროგრამის ფინანსური რესურსით, თუმცა დეფიციტის შემთხვევაში (ჯგუფში დასაშვებზე ნაკლები სტუდენტების ოდენობა), ფინანსდება ნაერთი ბიუჯეტიდან ეკონომიკური საქმიანობის ფარგლებში მიღებული შემოსავლის ხარჯზე. მისასალმებელი და მნიშვნელოვანია, რომ უნივერსიტეტის ნაერთ (საერთო) და პროგრამის ბიუჯეტებში შრომის ანაზღაურებასთან ერთად, გათვალისწინებულია პერსონალის სამეცნიერო

კონფერენციებში მონაწილეობის, ტრენინგებთან დაკავშირებული, იმპაქტ-ფაქტორიან ჟურნალებში სამეცნიერო შრომების გამოქვეყნების, პრაქტიკების, სახელმძღვანელოებისა და სხვა ხარჯები. როგორც დოკუმენტაციის განხილვისა და ინტერვიუების შედეგად დადგინდა, უნივერსიტეტს აქვს გათვალისწინებული ფინანსური რესურსები, რომლებიც მიმართულია სასწავლო პროცესის, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის, პრაქტიკების, საბიბლიოთეკო პროცესის, სხვადასხვა ღონისძიების ორგანიზების დაფინანსებისკენ. ბიუჯეტი შეიცავს სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობის ხარჯებს. შესაბამისად, როგორც წარმოდგენილი დოკუმენტაციებით, ისე ინტერვიუს , დადგინდა, რომ უნივერსიტეტის ფინანსური მდგომარეობა მდგრადია და ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია. პროგრამის ბიუჯეტი ასახულია უნივერსიტეტის საერთო ბიუჯეტში დანართის სახით. ინტერვიუზე ასევე აღინიშნა, რომ უნივერსიტეტში ყოველწლიურად იზრდება ეკონომიკური საქმიანობით მიღებული შემოსავალი. საბოლოოდ ვთვლით, რომ უნივერსიტეტის ნაერთი და პროგრამის ბიუჯეტი მოიცავს იმ ხარჯებს და ფინანსურ რესურსებს, რომლებიც პროგრამის საჭიროებებისა და დადგეგმილი აქტივობების შესრულებას უზრუნველყოფს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • აწსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს დადგენილება N175 - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროგრამების ფინანსური უზრუნველყოფის დასაბუთების პრინციპების შესახებ პროგრამის ბიუჯეტი.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	X			

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება
პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში ხარისხის შიდა უზრუნველყოფასთან დაკავშირებულ საკითხებს კოორდინირებას უწევს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 09.02.2018, #49(17/18) დადგენილებით დამტკიცებული „აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის კონცეფციის“ შესაბამისად. აღნიშნული დოკუმენტის მიხედვით, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „გეოგრაფიის“ სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ახორციელებს პროგრამის ხარისხის შეფასებას. ხარისხის უზრუნველყოფა მოქმედებს „დაგეგმე, განახორციელე, შეამოწმე, განავითარე“ ციკლის შესაბამისად და გამოიყენება შემდეგნაირად: (1) პროგრამის შემუშავება და დამტკიცება, (2) განხორციელება სასწავლო გეგმის მიხედვით; (3) მონიტორინგი, შეფასება და ანალიზი (სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის გამოკითხვა, სტუდენტთა აკადემიური მოსწრების შედეგების ანალიზი და ა.შ.); (4) შედეგების გათვალისწინება და პროგრამის მოდიფიცირება. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური და ფაკულტეტი ჩართული არიან სასწავლო პროცესის უწყვეტი მონიტორინგის პროცესში. მონიტორინგი ძირითადად ხორციელდება მიზნობრივი ჯგუფების გამოკითხვის, სააუდიტორიო მუშაობაზე სისტემატური დაკვირვების და ურთიერთდასწრების მეშვეობით. გამოკითხვის ფორმებში შეტანილია ისეთი საკითხების შეფასება, როგორიცაა - საგანმანათლებლო პროგრამებით, სწავლის შედეგებით კმაყოფილება, მართვის პროცესების, ინფრასტრუქტურის შეფასება, მათი განვითარების საჭიროებები, აკადემიური პერსონალის, მატერიალური ბაზის შეფასება და სხვა. მოპოვებული ინფორმაციის შედეგების გათვალისწინებით ხდება მონაცემების დამუშავება, ძლიერი და სუსტი მხარეების გამოვლენა, პრობლემების იდენტიფიცირება, მათი გადაწყვეტის გზების შერჩევა. უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს სწავლის ხარისხის უზრუნველყოფისა და გაუმჯობესების შიდა შეფასების სისტემა.

თვითშეფასების ანგარიშიდან და ექსპერტთა ჯგუფის მიერ ჩატარებული ინტერვიუებიდან ირკვევა, რომ უნივერსიტეტი ახორციელებს სამაგისტრო პროგრამის ხარისხის შეფასებას აკადემიური და მოწვეული პერსონალის ჩართულობით, ატარებს ინტერვიუებს დაინტერესებულ მხარეებთან, სწავლობს ბაზარს, იკვლევს პროგრამის განვითარებისთვის ახალ შესაძლებლობებს და ახორციელებს მათ იმპლემენტაციას პროგრამაში. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური და თვითშეფასების პროცესში ჩართული პერსონალი მუშაობის პროცესში მუშაობდა არა მხოლოდ ნაკლოვანებების გამოვლენის მიმართულებით, არამედ აანალიზებდა გამოვლენილ ნაკლოვანებებს და მათი გამოსწორების ქმედებებსა და გზებს, რაც დასტურდება დაინტერესებულ მხარეებთან ინტერვიუებით, თუმცა აღნიშნული ანალიზის შედეგები არ არის დოკუმენტირებული; შესაბამისად სასურველია ანაგარიშების მომზადება, სადაც აისახება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ გაცემულ რეკომენდაციებზე რეაგირებები. უნივერსიტეტში მოქმედი პროგრამების განვითარებისა და სწავლების პროცესის გაუმჯობესების მიზნით ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ტარდება სხვადასხვა ღონისძიებები და ტრენინგები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ „გეოგრაფიის“ სამაგისტრო პროგრამა; ○ პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; ○ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, განვითარების მეთოდოლოგიისა და შეფასების მექანიზმი; ○ საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის შიდა და გარე მექანიზმები; ○ შრომის ბაზრის კვლევა; ○ აკადემიური და მოწვეული პერსონალის გამოკითხვის შედეგები; ○ სტუდენტების კმაყოფილების კვლევის შედეგები; ○ კურსდამთავრებულთა უკუკავშირის კვლევის შედეგები; ○ ინტერვიუ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან; ○ ინტერვიუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან; ○ ინტერვიუ სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, დამსაქმებლებთან;
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ▪ სასურველია ანაგარიშების მომზადება, სადაც აისახება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ გაცემულ რეკომენდაციებზე რეაგირებები.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○

შეფასება

- [x] შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- [ ] მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- [ ] ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- [ ] არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის გარე შეფასების მიზნით აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი იყენებს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის აკრედიტაციისა და ავტორიზაციის პროცესს, ასევე თანამშრომლობს პარტნიორ უნივერსიტეტებთან. საგანმანათლებლო პროგრამებზე მიღებული რეკომენდაციებისა და რჩევების საფუძველზე უნივერსიტეტი უზრუნველყოფს „გეოგრაფიის“ სამაგისტრო პროგრამის განვითარებას და დახვეწას.

პროგრამის გარე შეფასება განხორციელებულია დამსაქმებლების და კურსდამთავრებულების, ასევე ორი დამოუკიდებელი გარე შემფასებლის მიერ. წარმოდგენილი გარე შეფასება განხორციელებულია, 2020 წლის მდგომარეობით, ძველი პროგრამის სწავლის შედეგების, პროგრამის შინაარსის და სტრუქტურის გათვალისწინებით, შესაბამისად, სასურველია შეფასება არსებობდეს ამჟამად წარმოდგენილ პროგრამასთან რელევანტურადაც.

საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის გარე შეფასების მიზნით აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი იყენებს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის აკრედიტაციისა და ავტორიზაციის პროცესს.

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა ,,გეოგრაფია“ ხორციელდება 2007 წლიდან. აღნიშნულმა პროგრამამ 2012 წელს გაიარა აკრედიტაცია ,,რეგიონალური გეოგრაფია და რეკრეაციული რესურსების“ სახელწოდებით.

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამამ „გეოგრაფია“ რეაკრედიტაციისთვის მომზადების პროცესში განიცადა მოდიფიცირება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ ნ ბრძანების დანართი 1 - ით დამტკიცებული „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა“ და ამ ბრძანების დანართი 2-ით დამტკიცებული „სწავლის სფეროების კლასიფიკატორის“ მოთხოვნების შესაბამისად.

პროგრამის შინაარსი შესაბამისობაში მოვიდა სწავლის სფეროების კლასიფიკატორში დეტალური სფეროს „0532“ აღმწერთან, რაც აისახა პროგრამის მიზნებსა და პროგრამის სწავლის შედეგებში. მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები, რომლებიც გაწერილი იყო 6 კომპეტენციის მიხედვით, შესაბამისობაში მოვიდა კვალიფიკაციის მე-7 დონის „ცოდნა და გაცნობიერების“, „უნარის“ და/ან „პასუხისმგებლობა და ავტონომიურობის“ აღმწერებთან. პროგრამით დასახული მიზნებისა და სწავლის შედეგების მისაღწევად, სამაგისტრო პროგრამის სტრუქტურა განისაზღვრა შემდეგი სახით:

I. ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი შინაარსის სასწავლო კურსები - 105 კრედიტი;

II. ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი სასწავლო კურსები - 15 კრედიტი;
პროგრამის სასწავლო გეგმაში განხორციელდა ცვლილებები:

- ✓ სასწავლო კურსი - საკურსო ნაშრომი, შეიცვალა კურსით - საქართველო გლობალური პროცესების ფონზე.
- ✓ სასწავლო კურსი - ტურისტულ-რეკრეაციული რესურსები, შეიცვალა კურსით - გეოგრაფიის კვლევის მეთოდები;
- ✓ სასწავლო კურსი - გეოინფორმაციული სისტემები 1 და 2, შეიცვალა კურსით - გეოინფორმაციული სისტემები;
- ✓ სასწავლო კურსი - საქართველოს ტურისტულ-რეკრეაციული მარშრუტების დაგეგმვა, შეიცვალა კურსით - საქართველოს ლანდშაფტურ-ეკოლოგიური პრობლემები;
- ✓ სასწავლო კურსი - საქართველოს კლიმატური რესურსები 1, შეიცვალა კურსით - საქართველოს კლიმატოგრაფია;
- ✓ სასწავლო კურსი - საქართველოს კლიმატური რესურსები 2, შეიცვალა კურსით - საქართველოს კლიმატური რესურსები და კლიმატის თანამედროვე პრობლემები;
- ✓ დაემატა საველე-კვლევითი პრაქტიკა
- ✓ შეიცვალა არჩევითი საგნები

გათვალისწინებული იქნა 2012 წლის აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ მოცემული რეკომენდაციები, კერძოდ:
1. სილაბუსებში საგამოცდო, საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების გაწერა; რეკომენდაციის საფუძველზე დაწვრილებით იქნა გაწერილი ზემოთ აღწერილი საათები.
2. სილაბუსების უახლესი ლიტერატურით გამდიდრების შესახებ. აკრედიტაციის შემდგომ პერიოდში უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის მიერ შეძენილ იქნა უახლესი ლიტერატურა გეოგრაფიის დეპარტამენტისათვის.
3. პროგრამის შემდგომი განვითარების მიზნით დეპარტამენტის ინიციატივით 2015 წლის იანვარში გაფორმდა მემორანდუმი გარემოს ეროვნულ სააგენტოსთან, აქტიურად ვთანამშრომლობთ სააგენტოს კოლხეთის ჰიდრომეტეოროლოგიურ ობსერვატორიასთან.
სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში შეძენილი იქნა უახლესი სასწავლო ლიტერატურა - ფიზიკურ და საზოგადოებრივ გეოგრაფიაში; განახლებულ იქნა სასწავლო რესურსები (ატლასები, სასწავლო რუკები, გლობუსები); შეძენილ იქნა და დამონტაჟდა სასწავლო მინი მეტეოსადგური;
პროგრამის შემდგომი განვითარების მიზნით დეპარტამენტის ინიციატივით 2015 წლის იანვარში გაფორმდა მემორანდუმი გარემოს ეროვნულ სააგენტოსთან.
აწსუ-ში მოქმედი ხარისხის პოლიტიკისა და პროცედურების შესაბამისად გარე შეფასება განახორციელეს თსუ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის გეოგრაფიის დეპარტამენტის და თსუ ზუსტ და საბუნებისმეტყევლო მეცნიერებათა ფაკულტეტის წარმომადგენლებმა. აღსანიშნავია, რომ წარმოდგენილი გარე შეფასება განხორციელებულია, 2020 წლის მდგომარეობით, ძველი პროგრამის („რეგიონალური გეოგრაფია და რეკრეაციული რესურსები“) სწავლის შედეგების, პროგრამის შინაარსის და სტრუქტურის გათვალისწინებით, შესაბამისად სასურველია შეფასება არსებობდეს ამჟამად წარმოდგენილი პროგრამის რელევანტურადაც.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- „გეოგრაფიის“ სამაგისტრო პროგრამა;
- პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- კურსდამთავრებულთა უკუკავშირის კვლევის შედეგები;

- დამსაქმებელთა შეფასების ანალიზი;
- გარე ექსპერტების შეფასება;
- ინტერვიუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან;
- ინტერვიუ კურსდამთავრებულებთან, დამსაქმებლებთან;

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია გარე შეფასება განხორციელდეს განახლებულ პროგრამასთან მიმართებაში, პროგრამის სწავლის შედეგების, შინაარსისა და სტრუქტურის რელევანტურად.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

-

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარსიხის უზრუნველყოფის სამსახურს შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამების მონიტორინგის, შეფასებისა და გაუმჯობესების მექანიზმები: საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასება, ძირითადად, ხდება სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების, აკადემიური და მოწვეული პერსონალის გამოკითხვით და სასწავლო პროცესის მონიტორინგის გზით. პროგრამის გაუმჯობესების მიზნით

ხორციელდება ლექციებზე კოლეგების ურთიერთდასწრებისა და სააუდიტორიო მუშაობის შეფასება სასწავლო პროცესის დასაწყისში შემუშავებული გეგმის მიხედვით.
ხარისხის უზრუნველოფის სამსახური ყოველი სემესტრის ბოლოს ახორციელებს სტუდენტების მიერ სასწავლო კურსებისა და ლექტორების შეფასებას კითხვარების საშუალებით. ხორციელდება სტუდენტთა კმაყოფილების ანალიზი.

ინტერვიუებიდან დასტურდება „გეოგრაფიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების პროცესში დაინტერესებული მხარეების ჩართულობა, თუმცა დაწესებულების მხრიდან არ არის წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების მიზნით ჩატარებული შეხვედრების დამადასტურებელი ოქმები, სადაც აღწერილი იქნება მონაწილეთა შეფასებები და მათი მხრიდან დაფიქსირებული რეკომენდაციები/რჩევები. აღნიშნულ პროცესში ჩართულობას ადასტურებს ყველა დაინტერესებული მხარე ინტერვიუების დროს. სახელდება მათი მხრიდან დაფიქსირებული რეკომენდაციების პროგრამის ხელმძღვანელის მიერ გათვალისწინების კონკრეტული შემთხვევები.

პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების თანახმად, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური მონიტორინგის მიზნით ესწრება ლექციებს/პრაქტიკულ მეცადინეობებს, აანალიზებს სტუდენტთა აკადემიურ მოსწრებას და შეიმუშავებს შესაბამის რეკომენდაციებს საგანმანათლებლო პროგრამის ან ცალკეული სასწავლო კურსის სრულყოფისათვის. ასევე შედეგებთან დაკავშირებით ხდება კომუნიკაცია პედაგოგთან და საჭიროების შემთხვევაში ხდება რეკომენდაციებისა და რჩევების მათთვის გაზიარება.

პროგრამის ფარგლებში წარმოდგენილია სტუდენტთა აკადმიური მოსწრების ანალიზის შედეგები, თუმცა სასურველია ცალკე იყოს დაკონკრეტებული შეფასების შედეგების გაანალიზების საფუძველზე პროგრამის გაუმჯობესება/მოდიფიცირების მიზნით თუ რა წინადადებები იქნა შემუშავებული შემუშავებული და როგორ იქნა გამოყენებული პროგრამის გაუმჯობესებისთვის.

უნივერსიტეტისთვის ხარისხის უზრუნველყოფის ერთ-ერთი მექანიზმია უნივერსიტეტის აკადემიური და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარების ხარისხის სისტემატური მხარდაჭერა, აღნიშნული დასტურდება დაინტერესებულ მხარეებთან ინტერვიუებიდან, აკადემიური პერსონალის რეზიუმეებიდან და ასევე დაწესებულების მიერ წარმოდგენილი აკადემიური, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის მიზნით განხორციელებული ღონისძიებებით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- გეოგრაფიის სამაგისტრო პროგრამა;
- პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი;
- პერსონალის პირადი საქმეები;
- პერსონალის განვითარების მიზნით განხორციელებული ღონისძიებები;
- პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი;
- უცხოური უნივერსიტეტების ანალოგიურ პროგრამებთან შედარების დოკუმენტი;
- ინტერვიუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან;
- ინტერვიუ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან;
- ინტერვიუ სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, დამსაქმებლებთან.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	X			

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება: სსიპ-აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საფეხური: „გეოგრაფია“ მაგისტრატურა

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 36

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	X			

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	X			
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	X			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	X			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	X			

<u>აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე:</u>

ნოდარ ფოფორაძე

<u>აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრები:</u>

გიორგი ბრეგვაძე

თამთა ლეკიშვილი

გიგი გიოშვილი